მორალი, როგორც წინააღმდეგობის იარაღი ჰერტა მიულერის შემოქმედებაში

მარიამ კორინთელი
ფილოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ელ-ფოსტა: mariam_korinteli@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0009-0000-7895-518X

აბსტრაქტი: ნაშრომი წარმოადგენს ჰერტა მიულერის რომანის - „სუნთქვის საქანელას“ კვლევას, კერძოდ, მორალურობის ასპექტს რომანში, როგორც ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს. ჰერტა მიულერის ცხოვრებაცა და შემოქმედებაც წინააღმდეგობის ისტორიაა, ამბავი იმისა, თუ როგორ შეიძლება, საკუთარი სუბიექტური გამოცდილებები მთელი ქვეყნის ბიოგრაფიად აქციო. მისი რომანების ძირითადი თემაა ავტორიტეტები და ძალაუფლება, ცენზურა და დამორჩილება, ემიგრაცია, ეროვნული იდენტობის ძიება. ტოტალიტარიზმის დამანგრეველი გავლენისგან თავის დასაცავად ერთ-ერთ იარაღად მწერალს ზოგადმორალური პრინციპების დაცვა მიაჩნია; ეპოქაში, რომელმაც თავდაყირა დააყენა სამართლისა და სამართლიანობის გაგება; დროში, როდესაც არ მოქმედებს არც ადამიანური და არც ღვთაებრივი სამართალი, ერთადერთ ხსნად ზოგადი ადამიანურ-მორალური პრინციპების შენახვა-შენარჩუნებაღა რჩება. ჰერტა მიულერის რომანები განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილისთვის. მის ნაწარმოებებში აღწერილი პრობლემატიკა საქართველოსთვისაც მეტად მტკივნეული საკითხია - საბჭოთა გამოცდილება და კოლექტიური, თაობათაშორისი ტრავმები ჯერ კიდევ საჭიროებს კვლევასა და რეფლექსიას, სწორედ ამიტომ, ჰერტა მიულერისეული რუმინული ტოტალიტარიზმი, წინააღმდეგობა და მორალური ორიენტირების მოშლა რეჟიმების პირობებში მთელი სოციალისტური ბანაკის გამოცდილებაა, განსაკუთრებით კი - საქართველოსი, რომელსაც რიგ შემთხვევებში ყველაზე მძიმედ შეეხო ტოტალიტარიზმის გამოვლინებები და რეპრესიები.

საკვანძო სიტყვები: ჰერტა მიულერი, ტოტალიტარიზმი, მორალი, რეპრესიები, გადასახლება

***

შესავალი. ჰერტა მიულერი რუმინელი გერმანულენოვანი მწერალია, რომელსაც 2009 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. მიულერის ნაწარმოებების მთავარი თემაა ტოტალიტარიზმის გამოვლინება სხვადასხვა პერიოდის რუმინეთში, ომის შემდგომი პერიოდიდან და სოციალისტური რესპუბლიკიდან მოყოლებული, ჩაუშესკუს რეჟიმით დასრულებული.

ჰერტა მიულერის ცხოვრებაცა და შემოქმედებაც წინააღმდეგობის ისტორიაა, ამბავი იმისა, თუ როგორ შეიძლება, საკუთარი სუბიექტური გამოცდილებები მთელი ქვეყნის ბიოგრაფიად აქციო. მისი რომანების ძირითადი თემაა ავტორიტეტები და ძალაუფლება, ცენზურა და დამორჩილება, ემიგრაცია, ეროვნული იდენტობის ძიება. ნიცკიდორფში დაბადებული მწერალი რუმინულ გარემოში გაიზარდა, მაგრამ იქ ჩასახლებული გერმანელი შვაბების შთამომავალი იყო. მისი ეროვნული იდენტობა დაბადებიდანვე ორად გაიხლიჩა - ერთი მხრივ, რუმინეთის შვილი იყო, მეორე მხრივ კი გერმანულ კულტურას ეკუთვნოდა. მწერლის ავტობიოგრაფიულმა ეპიზოდებმა ბავშვობიდან, დიდი გავლენა მოახდინა მის მთელ შემოქმედებაზე, ყველაზე მეტად კი რომან „სუნთქვის საქანელაზე“. რომანის მთავარი თემა საბჭოთა გულაგში გადასახლებული რუმინელების ცხოვრებაა, რომლის აღსაწერადაც ჰერტა მიულერმა დედამისის, უკრაინულ გულაგში 4 წლით გადასახლებული ქალის ფრაგმენტული ნაამბობის რეკონსტრუქცია მოახდინა.

2009 წელს, ნობელის პრემიის მინიჭებისას, ნობელის კომიტეტმა ჰერტა მიულერი მოიხსენია, როგორც „ის, ვინც გულისხმიერებით პოეზიაში და გულწრფელობით პროზაში ჩაგრულთა ცხოვრებას ასახავს“. რეჟიმებისგან ჩაგრულები და ტოტალიტარიზმის ანატომია მართლაც მიულერის შემოქმედების მთავარი თემაა, რადგან ორი ტირანის - ანტონესკუსა და ჩაუშესკუს - ხელში გამოვლილ ცხოვრებაში, ალბათ, არც არაფერი სცნობია ჩაგვრასა და ტირანიაზე უფრო ახლოს და უკეთ.

მსჯელობა. ჰერტა მიულერი 1953 წელს დაიბადა ბანატში, სოფელ ნიცკიდორფში, პატარა გერმანულ სოფელში, რომელიც ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დამხობის შემდეგ გადმოსახლებული გერმანელი შვაბებით იყო დასახლებული. 1940 წელს რუმინეთმა ერთგულება გამოუცხადა ნაცისტურ რეჟიმს, ანტონესკუ ადოლფ ჰიტლერს დაემორჩილა, რუმინელ გერმანელთა უდიდესი ნაწილი კი მესამე რაიხის სამხედრო სამსახურში ჩადგა. ამ გერმანელთა შორის იყო ჰერტა მიულერის მამაც. 1944 წელს საბჭოთა არმია შეიჭრა რუმინეთში და დაამხო ანტონესკუ. სტალინის ბრძანების თანახმად, ჩვიდმეტიდან ორმოცდათხუთმეტ წლამდე ასაკის ყველა გერმანელი საბჭოთა შრომით ბანაკში გადაასახლეს, მათ შორის იყო მიულერის დედაც, რომელმაც უკარინაში მდევარე ნოვოგორელოვკას ბანაკში რამდენიმე წელი გაატარა.

1987 წლიდან ჰერტა მიულერი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადადის საცხოვრებლად. ის ფიზიკური და წარმოსახვითი კავშირის გაწყვეტას ცდილობს სამშობლოსთან და ეს მცირე ხნით გამოსდის კიდეც; თითქოსდა ყველაფერი კარგად უნდა იყოს და შეეძლოს, თავი უსაფრთხოდ დაიგულოს, მაგრამ ასე არ ხდება. „მართალია, ემიგრანტები სახიფათო მხარეს ხელსაყრელ დროს ტოვებენ და მეტ-ნაკლებად მისაღებ ქვეყანასაც პოულობენ, მაგრამ უცხო ქვეყანაში მცდარ ადგილზე რჩებიან, სხვაგან ხელმეორედ წასვლა კი ვერა და ვერ გადაუწყვეტიათ.“ (მიულერი, 2017, გვ.42) 1989 წელს, ჩაუშესკუს ჩამოგდების შემდეგ, მწერალი იწყებს სამშობლოსთან ემოციური ძაფების აღდგენას და შემოქმედებით უბრუნდება რუმინეთს. „ჰერტა მიულერი აცნობიერებს იმასაც, რომ ვერასდროს შეელევა სამშობლოს, რადგან ის მუდმივად თან ახლავს, თან ახლავს, როგორც მშობლიური კილოკავი (ცაგარელი, 2011)

„ტოტალიტარიზმის დეტალური და მართალი აღწერისთვის“ - თქვა ნობელის კომიტეტმა 2009 წელს. ამავე წელს, ცოტა უფრო ადრე, უკვე გამოცემულია ჰერტა მიულერის მთავარი რომანი, „სუნთქვის საქანელა“, რომელმაც მწერალს საპატიო ადგილი დაუმკვიდრა ცოცხალ კლასიკოსთა შორის. ჰერტა მიულერის გმირები „მოჩურჩულეთა“ თაობას მიეკუთვნებიან. „მოჩურჩულე“ საბჭოთა პერიოდის მკვლევრის, წიგნის „პირადი ცხოვრება სტალინურ რუსეთში“ - ავტორის, ორლანდო ფაიგსის ტერმინია და აღნიშნავს მთელ თაობებს, რომლებმაც დაიმახსოვრეს თვითგადარჩენის მთავარი ოქროს წესი - ჩურჩულით ილაპარაკე, ხალხს შეერიე, შეუმჩნეველი გახდი და რეალობის პარალელურად იცხოვრე ისე, რომ არ დაგჭირდეს თვითრეფლექსია და ანალიზი იმისა, თუ რა აკეთე. დეპორტაციისა და გულაგებში გადასახლების თემა რუმინეთში ტაბუდადებული იყო, ისევე, როგორც ალიანსი მესამე რაიხთან. ჰერტა მიულერმა კი გადაწყვიტა, რომ წარსულზე რეფლექსიის დრო იყო, თანაც არა ჩურჩულით, არამედ - ყვირილით. ამიტომ მან დაიწყო იმ ნიცკიდორფელთა ამბების შეგროვება, რომლებმაც ბანაკის სიმწარე საკუთარ თავზე იგემეს. მათ შორის იყო დედამისიც. „სუნთქვის საქანელა“ სწორედ ამ ამბების კომბინაციაა.

რომანის მთავარი გმირია ლეო აუბერგი, ჰომოსექსუალი პოეტი, რომელიც გერმანელობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო ნოვო-გორელოვკაში გადაასახლეს. რომანი სწორედ მისი ფიქციური მონათხრობია, ნარატორი თავად ლეოა, ლეოს კი რეალური პროტოტიპი ყავს - რუმინელთათვის საყვარელი და ძვირფასი პოეტი, ოსკარ პასტიორი, რომელმაც, ლეოს მსგავსად, რამდენიმე წელი იცხოვრა შრომით ბანაკში. ჰერტა მიულერი და ოსკარ პასტიორი წლების განმავლობაში მუშაობდნენ წიგნზე, ჰერტა მხატვრულ ფორმას აძლევდა მეგობრის დოკუმენტურ მონათხრობს, ოსკარის

სიკვდილის შემდეგ კი თავად დაასრულა რომანის წერა და პასტიორის მონათხრობი ბანაკის სხვა რეალურ ბინადართა ისტორიებითაც შეავსო.

ჰერტა მიულერს თავისი შემოქმედების ცენტრალურ თემად, ტოტალიტარიზმთან ერთად, ჰქონდა ადამიანური მორალის განცდა, მორალის ანატომია და ტრანსფორმაცია პოლიტიკური ცვლილებების კვალდაკვალ. საკითხი, თუ როგორ იშლება მორალური ორიენტირები, როგორ დეგრადირდება ჰუმანიზმით ნაკარნახევი, საუკუნეების განმავლობაში შემონახული ზოგადსაკაცობრიო მორალური სამარჯვები, ყოველთვის იყო მისი რომანების მთავარი თემა. მორალის თემატიკამ მის ემიგრანტულ პროზაში ცვლილებები განიცადა და მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნული იდენტობის, სამშობლოსთან მიკუთვნებულობის განცდის შენარჩუნებას. მორალის შენარჩუნება იქცა ფესვების შენარჩუნების განუყოფელ ელემენტად. სწორედ ზოგადი ჰუმანისტური მორალური პრინციპების განცდა და მასზე ჩაბღაუჭებაა ის გზა, რომელიც ლეო აუბერგს სრულიად მადეგრადირებელ გარემოში ყავარჯნად ექცევა; გარემოში, რომელიც გამალებით ცდილობს ადამიანის დეჰუმანიზაციას და ამისთვის იარაღად იყენებს ორ დაუნდობელ მხეცს - მუდმივ შიმშილს და სირცხვილის განცდის დაკარგვას. ტოტალიტარული გარემო, ამ შემთხვევაში, საბჭოთა შრომითი ბანაკი, ადამიანის საბაზისო ინსტინქტებზე თამაშით ახდენს დეჰუმანიზაციას. როცა გშია, თავისუფლებისთვის არ აჯანყდები; როცა აღარაფრის გრცხვენია, ადამის მოდგმასაც აღარ ეკუთვნი.

დეჰუმანიზაციისა და მორალური კომპასის მოშლის პირველ მცდელობას რეჟიმი ბანაკისკენ მიმავალ გზაზევე ახდენს: ტყვეებს აიძულებენ, ერთმანეთის თვალწინ მოისაქმონ. ამის შემდეგ კი დეგრადაციის ისეთი შეუქცევადი პროცესი იწყება, საიდანაც ადამიანად გამოსვლა თითქმის შეუძლებელი ჩანს. დამშეული ქმარი ცოლს დღიურ ულუფას ჰპარავს და სასიკვდილოდ იმეტებს, „პურის სასამართლოზე“ დაუნდობლად კლავენ საჭმლის ქურდს, ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს, აღარ ჩანს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, შრომით ბანაკში კაუზალობის ერთადერთი პრინციპი მოქმედებს - ერთი ნიჩბის მოქნევა უდრის ერთ ლუკმა პურს.

ის, რასაც ლეოპოლდ აუბერგი ამორალურ გარემოში მორალური საყრდენების საძიებლად აკეთებს, მარტივად ვერ აიხსნება. ყველაზე კარგად მის ნაბიჯებს ვიქტორ ფრანკლის სიტყვები აღწერს წიგნიდან „ვუთხრათ სიცოცხლეს დიახ“ ფრანკლი ამბობს, რომ „ადამიანი არის არსება, რომელსაც შეუძლია ცხოვრება აზრად აქციოს - გადარჩენის კი არა, მნიშვნელობის საშუალებით“. (frankl, 2023, p.31) ფრანკლმა, რომელმაც ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში 4 წელი გაატარა, ყველაზე კარგად იცოდა სიცოცხლისთვის თუნდაც პრიმიტიული მნიშვნელობების მინიჭების გადამრჩენელი არსი. ლეო აუბერგიც ამავეს აკეთებს მიულერის რომანში - საგანთა გაპოეტურებით ყველაზე ყოფით მოვლენებსაც კი განსაკუთრებულ მნიშვნელობებს ანიჭებს. მაგალითად, შიმშილის მწვავე შემოტევას ის „შიმშლის ანგელოზის გამოცხადებას“ უწოდებს. „შიმშილის ანგელოზი“ წიგნის ინგლისურენოვან სათაურსაც ჰქვია.

„ყველა ადამიანს ბარგის ზიდვა უწევს, ბანაკში ეს ბარგი მხოლოდ ცარიელი მუცელი და მოგონებებია“ (მიულერი, 2019, გვ.96) ბანაკში წარსულს მნიშვნელობა აღარ აქვს, არის მხოლოდ ახლანდელი დღე, რომელიც უნდა დააღამო, გადარჩე და გახსოვდეს, რომ ნიჩბის მოქნევა უდრის პურს, პური უდრის გადარჩენას. გადარჩენა კი უდრის თავის დაღწევას.

ბანაკის არაადამიანობა და სისასტიკე ისაა, რომ მისგან თავის დაღწევას ვერავინ ახერხებს, ის უკან დაბრუნებულ ადამიანს ბარგად ექცევა. ლეო აუბერგს კი თითქოს სულაც ნოსტალგია კლავს - მან არ იცის, რომელია სახლი - ნიკიდორფი თუ ნოვო-გორელოვკა. მაინც რა არის ის, რამაც ბანაკი ლეოს მეხსიერებაში სახლად შემოინახა და მას მონატრების უსაშველო გრძნობაც კი გაუჩინა? სწორედ ამაზე პასუხია ჰერტასეული მორალის გაგება - ტოტალურ უმორალობაში გაყოფილი ლუკმა, თმის დავარცხნაში დახმარება, ქვანახშირის ურიკაზე დაცემისას ხელის შეშველება - პატარ-პატარა ჰუმანისტური აქტები დეჰუმანიზებულ გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ვინ იცის,

იქნებ აბსოლუტურ უმორალობაში შენარჩუნებული ადამიანობა იყოს ქრისტიანული მორალის უმაღლესი გამოვლინება. „მე მჯერა, რომ სულიერი რეალობა არსებობის ქვაკუთხედია, და სწორედ იქ იბადება ღირსება და პასუხისმგებლობა“ (Frankl, 2023, p.15)

დასკვნა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტოტალიტარიზმის დამანგრეველი გავლენისგან თავის დასაცავად ერთ-ერთ იარაღად მწერალს ზოგადმორალური პრინციპების დაცვა მიაჩნია; ეპოქაში, რომელმაც თავდაყირა დააყენა სამართლისა და სამართლიანობის გაგება; დროში, როდესაც არ მოქმედებს არც ადამიანური და არც ღვთაებრივი სამართალი, ერთადერთ ხსნად ზოგადი ადამიანურ-მორალური პრინციპების შენახვა-შენარჩუნებაღა რჩება.

ჰერტა მიულერი თანამედროვე მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული და კაშკაშა ფიგურაა, რომლის შემოქმედების მთავარი თემები არ კარგავს სიმწვავესა და აქტუალობას. მისი რომანები განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილისთვის. ჰერტა მიულერის ნაწარმოებებში აღწერილი პრობლემატიკა საქართველოსთვისაც მეტად მტკივნეული საკითხია - საბჭოთა გამოცდილება და კოლექტიური, თაობათაშორისი ტრავმები ჯერ კიდევ საჭიროებს კვლევასა და რეფლექსიას, სწორედ ამიტომ, ჰერტა მიულერისეული რუმინული ტოტალიტარიზმი და წინააღმდეგობა მთელი ყოფილი საბჭოეთის გამოცდილებაა, განსაკუთრებით კი - საქართველოსი, რომელსაც რიგ შემთხვევებში ყველაზე მძიმედ შეეხო ტოტალიტარიზმის გამოვლინებები და რეპრესიები, მოგვიანებით კი, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის კოლაფსის შემდეგ, რუმინეთის მსგავსად, საქართველომაც გამოიარა უმწვავესი სამოქალაქო დაპირისპირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

მიულერი, ჰ. (2019). სუნთქვის საქანელა, თბილისი: სიესტა

მიულერი, ჰ. (2017). ჩემი სამშობლო იყო ვაშლის კურკა, თბილისი: ინტელექტი

ცაცაგარელი, ლ. (2011). დიქტატურიდან ნობელის პრემიამდე, თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა

Figes O. (2007). The Whisperers: Private Life in Stalin’s Russia, New York: Metropoliten Books

Frankl V. (2023). Yes to Life, The Book Kingdom